დოკუმენტები:

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შეყვანა საქართველოს ეროვნულ საბჭოში (1918 წელი)

მანანა დარჩაშვილი •

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, 1918 წლის 26 მაისს, ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად დეკლარირებული იყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და ხაზგასმული იყო, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“ (აქტები, 1990, გვ.4).

ამ პრინციპის რეალიზებისკენ მიმართული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შეყვანა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ეს საკითხი განიხილებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომებზე 1918 წლის აგვისტო-სექტემბერში და კანონის სახე მიიღო 1918 წლის 13 სექტემბერს, რომლის თანახმადაც საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა შეეყვანათ იმ ეროვნული უმცირესობების 26 წარმომადგენელი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და საქართველოს მოქალაქეების წარმოადგენენ (აქტები, 1990, გვ.62).

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები უნდა გამოეგზავნათ საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეულ ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებს, სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება ეძლეოდა ამ ერის ისეთ წარმომადგენლებს, „რომელნიც არჩეული

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

არიან სხვა-და-სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში“ (აქტები, 1990, გვ.62-63). ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს ეროვნულ საბჭოში გამართულ დებატებს მის შემადგენლობაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შეყვანის თაობაზე.

საბჭოში შესაყვანი უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას აღებული იქნა პრინციპი - 20 ათას მოსახლეზე ერთი წარმომადგენელი. ამავე დროს, ზოგიერთ ერს, კერძოდ ებრაელებს, ბერძნებს და გერმანელებს, რომელთა რიცხვი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 20 ათასზე ნაკლები იყო, თითო-თითო წარმომადგენლის ყოლის უფლება მაინც მიეცათ.

საბოლოოდ, ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები შემდეგი რაოდენობით უნდა შესულიყვნენ: სომხები - 10, თათრები (ანუ აზერბაიჯანელები) - 4, აფხაზები – 3, რუსები - 2, ქართველი ისრაელელები – 2, ებრაელები – 1, გერმანელები -1 და ბერძნები -1.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დამოუკიდებლობის აქტში დაფიქსირებული პრინციპები სახელმძღვანელო იყო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების დროს (იხ. „ქართული პარლამენტარიზმი, 2021, N1, გვ.29-44) და უმცირესობათა უფლებებს ცალკე მე-14 თავი („ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“) დაეთმო. - იალური კონსულტაციები გამართა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებთან (იხ. მაცაბერიძე მ., 2015). ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ყოფნას დიდი ყურადღება მიექცა საქართველოს დამფუძნებელ კრებაშიც (ამის შესახებ იხ. http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/228).

ლიტერატურა

აქტები, 1990 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). თბილისი, „ივერთა მხარე“.

მ.მაცაბერიძე, 2015 - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუ-ციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები. თბილისი: ახალი აზრი.

Malkhaz Matsaberidze, Tamar Orjonikidze, Natia Zedginidze. REPRESENTATIVES OF NATIONAL MINORITIES IN THE CONSTITUENT ASSEMBLY OF GEORGIA (1919-1921) - HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY, 2022 - http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/228).

M Matsaberidze The Act of Independence of May 26, 1921–The Foundation of the 1921 Constitution of Georgia - The Georgian Parliamentarism 2021, N 1(5)

ეროვნული საბჭოს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსების კანონპროექტის განხილვა

საქართველოს ეროვნული საბჭო

23 აგვისტოს სხდომა

კანონ-პროექტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ

თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე**

დღის წესრიგი ასეთია: ... განხილვა კანონპროექტისა ეროვნული საბჭოსი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსების შესახებ....

ა. ფაღავა (ს.ფ.) ჩვენი ფრაქციას კანონ-პროექტის მიღება იმ სახით, რომლითაც ის წარმოდგენილია, ყოველად შეუძლებლათ მიაჩნია, ჩვენ, რომელნიც ყოველთვის ვიბრძოდით ერთა თავისუფლებისათვის, არ წავალთ ეროვნულ უმცირესობათა მიერ საბჭოში წარმომადგენელთა გამოგზავნის წინააღმდეგ, მაგრამ პირველი მუხლი ამ კანონისა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ მიღებულ ძირითად კანონს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელი უნდა ყავდეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ და არამც და არამც არა იმათ, ვინც ჩვენ გვებრძვიან. არავისთვის დამალული არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენ გვებრძვიან, როგორც ნაძირალები და შავრაზმელები, ისე სოციალისტური პარტიაც. კანონ-პროექტის მეორე მუხლში სწერია, რომ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნონ ეროვნულმა საბჭოებმა, ანუ ადგილობრივმა მოქმედმა პარტიებმა შეთანხმებით შეიმუშავონ კანდიდატთა სიაო. ეს ჩემის აზრით შეუძლებელია. მაგ., აქ არსებობს რუსთა ეროვნული საბჭო, რომელიც ასრულებს ელჩის მოვა-

ლეობას, ამიტომ დაუშვებელია რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი ჩვენი ეროვნული საბჭოს წევრი იყოს. ამიტომ კანონ-პროექტი უნდა შეიცვალოს ასე: იმ ეროვნულ უმცირესობათ შეუძლიათ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი, რომელნიც საქართველოს მოქალაქეთ არიან აღიარებულნი. ამასთან აუცილებლათ დაცული უნდა იქნას ის საზომი, რომლითაც შემდგარია ჩვენი საბჭო. საქართველოს მოქალაქეები შესდგებიან რამდენადაც ვიცით სტატისტიკური ცნობებიდან 2 მილიონი და 400 კაცისგან. ამოდენა მცხოვრებს ყავს 120 დეპუტატი. სწორედ ამის და მიხედვით უნდა იქნან მიღებულნი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი საბჭოში. იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენი ფრაქცია მოითხოვს კანონ-პროექტი უკანვე დაუბრუნდეს სამანდატო კომისიას გადასასინჯავათ, გადაეცეს კანონ-პროექტი აგრეთვე საკონსტიტუციო კომისიას; ჩვენი ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ დრო წარმოდგენისა ამ კანონ პროექტის ეროვნულ საბჭოში განსახილველად განსაზღვრული იქნას, რადგანაც ისედაც დაგვიანებულია ეს კანონი.

ალ. ლომთათიძე. ბ-ბო, უეჭველია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეებს. არა მოქალაქე არ შეიძლება ეროვნული საბჭოს წევრი იყოს. ეს მთავარი და ერთად ერთი მოსაზრება არის, რომლის ძალით ჩვენ შესაძლოთ მიგვაჩნია ეს კანონპროექტი დაუბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიას აქვს დავალებული ძირითადი კონსტიტუციის შემუშავება და საერთოდ სახელმწიფოს აშენების საქმე, ეს კი დროებითია, მეორეთ კი ორივეს რომ გადაეცეს, შეიძლება დაგვიანდეს, ამიტომ, ვიმეორებ, ეს კანონპროექტი უნდა დაბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, მასთან ერთად უნდა მიეცეს განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში შეას-

წორებს და წარმოგვიდგენს. ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა მიეცეს ერთი კვირის ვადა.

თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებებს. საბჭომ მიიღო შემდეგი წინადადებანი: კანონპროექტი დაუბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, მიეცეს ერთი კვირის ვადა წარმოსადგენათ.

თავმჯდომარე: ამ საკითხთან დაკავშირებული იყო ს.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილი წინადადება ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ, ამიტომ ეს წინადადებაც მოხსნილია.

გაზეთი "ერთობა" N180, 25 აგვისტო, 1918

საქართველოს ეროვნული საბჭო
6 სექტემბრის სხდომა.
(დასასრული)

კანონ-პროექტი ეროვნულ უმცირესობათა
წარმომადგენლების შესახებ

მომხსენებელია **შ. მიქელაძე** (ს.ფ.) იმ დღესვე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ეროვნულმა საბჭომ თავის აქტის მე-7 მუხლში აღნიშნა, რომ ეროვნული საბჭო შევსებულ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. სამწუხაროდ ამის ცხოვრებაში გატარება მეტის მეტად დაგვიანდა. მიზეზი დაგვიანებისა იყო მოქალაქეობის კანონის უქონლობა. დღეს ჩვენ ასეთი კანონი გვაქვს და შეგვიძლია ავიყვანოთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი ეროვნულ საბჭოში, კანონ პროექტში ორი უმთავრესი მუხლია: რამდენ მოქალაქეს შეუძლია ერთი წარმომადგენლის გამოგზავნა და რომელ დაწესებულებებიდან შეიძლება მოწვევა. კომისიას არ ქონდა უტყუარი სტატისტიკური ცნობები ახალ საქართველოში მცხოვრებთა შესახებ. იყო ცნობები მხოლოდ ძველ საქართველოში, ე. ი. 1914 წ. ომამდე საქართველოს საზღვრებში მცხოვრებთა შესახებ. ამ ცნობების მიხედვით საქართველოში ცხოვრობენ: სომხები – 200 000 ცოტა მეტი, თათრები 85 000, აფხაზები 60 000, ოსები 45 000, რუსები 100 ათასი. კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ რუსების მრავალი სოფელი აიყარა და რუსეთში წავიდა, ვინც დარჩა, ისინიც ყველა არ სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას და რუსეთის მოქალაქეებათ თვლიან თავიანთ თავს, ამიტომ კომისიამ დაადგინა იანგარიშოს რუსები 45- 50 ათასი კაცით, მეტრათ სამანდატო კომისიამ მიიღო 20 ათასი მცხოვრები, არიან ისეთი ერებიც, რომელნიც 20 ათასზე ნაკლები არიან, ამ შემთხვევაში კომისიამ დაადგინა მათაც მიეცეთ ერთი წარ-

მომადგენლის გამოგზავნის უფლება. ასეთები არიან ბერძნები, გერმანელები და ებრაელები. ამ რიგათ კომისიამ დაადგინა ეროვნულ საბჭოში მიეცეთ შემდეგი წარმომადგენლობა: სომხებს 10, თათრებს 4, აფხაზებს 3, რუსებს 2, ქართველ ებრაელებს 2, ებრაელებს 1, გერმანელებს 1, ბერძნებს 1.

ეს წარმომადგენლები მოწვეულ იქნებიან ეროვნულ საბჭოებიდან, თუ რომელიმე ერს საბჭო არ ყავს, მაშინ ისინი გამოგზავნიან წარმომადგენლებს რომელიმე დემოკრატიული ორგანიზაციებში არჩეულების მიხედვით. ეს იქნება მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, როცა დამფუძნებელი კრება შესდგება, მაშინ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა ასეთ წესით მოწვევა საჭირო აღარ იქნება.

რ. გაბაშვილი (ნ.დ.) თავის სიტყვაში მოითხოვს ამ კანონ - პროექტის გადადებას. მას მოჰყავს შემდეგი მოსაზრებანი: სხვა ეროვნებათა 26 წარმომადგენელი არ შეიძლება დაშვებულ იქნას საბჭოში. ამ ერთა შორის არიან ისეთები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობენ და გვებრძვიან, მაგ. სომხები და რუსები. ჩვენს მთავრობას ულტიმატუმს უყენებენ ზოგიერთი ეროვნული საბჭოები, ამიტომ ასეთ დაწესებულებებიდან შეუძლებელია წარმომადგენელთა მოწვევა. არ უნდა იქნენ საბჭოში დაშვებულნი აგრეთვე იმ ერის წარმომადგენელნი, რომლებიც მიღებულ მეტრზე ნაკლები არიან, მაგ. გერმანელების, ებრაელების და ბერძნებისა. ყველა ამ მოსაზრების გამო ორატორი საჭიროდ სცნობს უცხო ერების წარმომადგენელთა რიცხვის შემცირებას და მათი (ერების) უფლებათა შეკვეცას და მოითხოვს კანონ-პროექტი ხელახლა გადასასინჯათ დაუბრუნდეს სამანდატო კომისიას.

დ. ონიაშვილი (ს.დ.) სოციალ დემოკრატიული ფრაქცია მოუთმენლად ელოდა ამ კანონ-პროექტის გამოქვეყნებას და მიღებას. მოუთმენლათ იმიტომ, რომ ნაციონალურ საკითხის ასე თუ ისე

გადაჭრას, მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახეწლმწიფოს ცხოვრებაში. ის სახელმწიფოები, რომელნიც ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდენ და აწარმოებდენ ნაციონალურ ჩაგვრის პოლიტიკას, გახდენ ნაციონალური პოლიტიკის მსხვერპლათ. მაგალითისთვის შორს არ წავალ. ავიღოთ თუ გინდ რუსეთი. თქვენ ყველას გახსოვთ ძველი რუსეთის ნაციონალური პოლიტიკა და ის ჩაგვრა, რომელსაც განიცდიდენ ეგრეთ წოდებული „ინოროდცები". სწორედ რუსეთი ამ პოლიტიკის წარმოებამ დაღუპა. ამ საკითხის მოუწესრიგებლობა პარლამენტის ნაყოფიერ მუშაობას ძლიერ უშლის ხელს. ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ბ. გაბაშვილის წინადადებას. ჩვენი ერი არასოდეს არ გამოსულა მჩაგვრელის როლში და არც მომავალში ჩაიდენს ამას. ხოლო ბ. გაბაშვილის გამოსვლის შემდეგ, რომელიც მოითხოვს სხვა ეროვნებათა უფლებების შეკვეცას, ეჭვი მეპარება ამ დებულებაში. მაგრამ საბედნიეროთ ის მიქარვებს ეჭვებს, რომ ბ. გაბაშვილი არ არის ქართველ ხალხის ნების გამომხატველი. ბ. გაბაშვილმა აქ სთქვა, რომ თუმცა პრინციპიალურად მიღებულია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ეროვნულ საბჭოში მიღება, მაგრამ პრინციპი არ გვავალებსო მაინც და მაინც ასე მოვიქცეთო. მე არ მესმის ისეთი პრინციპი, რომელიც კაცს ამა თუ იმ მოქმედებას, ნაბიჯის გადადგმას არ ავალდებდეს. გაბაშვილის აზრი კი უპრინციპობას შეიცავს. მეორე მოსაზრება ის იყო, რომ არ შეიძლება ჩვენ დავეყრდნოთ ახალგაზრდა მეცნიერთა გამოკვლევას და რადგანაც არ გვაქვს მეცნიერული გამოკვლევა, საჭიროა კანონ-პროექტის გადადებაო. განა, ბ. რეზო, თქვენ აქ ზიხართ მეცნიერული გამოკვლევით? ეს ეროვნული საბჭო ხომ სურროგატია? და თუ ეს ასეა (რომ ეს ასე არის, ამის უარყოფა თქვენ არ შეგიძლიათ), მაშინ რა უფლების ძალით ლაპარაკობთ, რომ მეცნიერული გამოკვლევა არ გვაქვს და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საბჭოში მიღება არ

შეიძლებაო? მეცნიერული გამოკვლევით რომ შესდგეს პარლა-მენტი, მაშინ არ ვიცი თქვენი ფრაქცია როგორ შეიცვლება. თუ მოითხოვთ მეცნიერულ გამოკვლევის საფუძველზე პარლამენტის აშენებას, მაშინ ჯერ თქვენ უნდა გახვიდეთ აქედან და შემდეგ სხვებზე ილაპარაკოთ. ბატონმა გაბაშვილმა აქ პირდაპირ განა-ცხადა, რომ ჩვენს ინტერესებს თუ კვეცავდენ, ჩვენც შევკვეცოთ სხვისი უფლებებიო, ეს შეუწყნარებელი და მიუღებელია. ჩვენ დამოუკიდებლობის აკტში ავღნიშნეთ, ჩვენი ეროვნულ უმცირესო-ბებთან დამოკიდებულება, წინააღმდეგ არ შეუძლია მოიქცეს დე-მოკრატიას. 26 მაისს ყველამ ხელი მოვაწერეთ ამ აქტს და დღემდეც არ მოგვიყვანია სისრულეში. აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას ეს კანონი ცხოვრებაში გატარებული. ამ საკი-თხის გარშემო დიდი განგაშია ატეხილი პრესაში, მე არ ვამბობ, რომ ამ კანონის განხორციელების შემდეგ ყველა საქართველოს დამო-უკიდებლობის მტრები, ჩვენ მოყვრებათ გახდებიან, მაგრამ ჩვენ მათ გამოვაცლით ხელიდან ერთ საგანგაშო საგანს ყოველ შემთხვევაში ჩვენი შეხედულებით ამ კანონპროექტის გადადება ჩვენი დამოუკიდებლობისათვის მავნებელია და ამიტომ ჩვენი ფრაქცია სავსების წინააღმდეგია ამ კანონპროექტის გადადებისა.

ს. დადიანი (ს.ფ.) ჩვენ ქართველ ხალხს, რომელმაც განვი-ცადეთ ეროვნული შევიწროება და საშინელი ჩაგვრა, არ შეგვშვენის სხვა ეროვნების ჩაგვრაზე ლაპარაკი. ჩვენი ერის შეურყეველი პრინ-ციპი და რწმენა არის, რომ ყოველი ერი უნდა იყოს თავის ბატონ-პატრონი, თვითონ უნდა განაგებდეს თავის საქმეებს, და თავისუფ-ლათ უნდა ცხოვრობდეს. ამ პრინციპის განხორციელებისაკენ უნდა მივისწრაფვოდეთ ჩვენც ყველანი და მთელი სახელმწიფოც. მარ-თალია, ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს ეროვნულ საბ-ჭოში შემოჭრით არ გადაიჭრება ნაციონალური საკითხი, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივისწრაფოდეთ საკაცობრიო იდეალისაკენ –

ერთა თანასწორობის თავისუფლებისაკენ. (გაბაშვილი ადგილიდან: ეს პოეზიაა) დიახ ეს ისეთი პოეზიაა, რომლის გაგება ნაციონალ დემოკრატებს არ შეუძლიანთ. როგორ უნდა იქცეოდეს სახელმწიფო? ამის მაგალითს ინგლისი იძლევა. მაშინ როდესაც ინგლისი შეეცდებოდა კანადელების უფლებრივათ შევიწროებას, კანადელები მაშინათვე დამოკიდებულებას სცვლიდნენ და და ინგლისსთან მტრულ განწყობილებას იკავებდნენ, მაგრამ ინგლისმა ამ გარემოებას ალღო აუღო და კანადელთა უფლების შეკვეცას თავი დაანება. დღეს რომ კითხო კანადელს ვისი მოქალაქე ხარო, ის მაშინათვე თამამათ გეტყვის: დიდი ბრიტანეთის ერთგული მოქალაქე ვარო. ჩვენც უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ უცხო ერები ამბობდნენ ჩვენზე, ისე, როგორც კანადელები ბრიტანეთზე. აქ გაბაშვილი ამბობდა, რომ ეროვნულ უმცირესობათ ბევრი მივეცითო, და ეს არ შეიძლებაო. ჩვენ სიხარულით უნდა ავღნიშნოთ, რომ მათ მიეცათ იმდენზე მეტი, რაც ერგებოდათ. ჩვენი ფრაქცია იღებს რა მხედველობაში საერთოდ პრინციპს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ და არსებულ პოლიტიკურ კონიუნკტურას სავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

რ. გაბაშვილი იცავს თავის წინადადებას.

მ. მაჩაბელი (ნ.დ.) აღნიშნავს, რომ წარსულში ქართველ ხალხს არავინდ დაუჩაგრავს. მას სხვები სჩაგრავდნენო. ის ერები, რომლებსაც დღეს ჩვენ წარმომადგენლების არჩევის უფლებას ვაძლევთ საქართველოში ქართველების დასაჩაგრავათ იყვნენ ჩამოსახლებულნიო. ორატორი უარყოფს აგრეთვე არჩევნების დროს რელიგიურ პრინციპს და მოითხოვს ქართველ და რუს ებრაელებს ერთად მიეცეს წარმომადგენლობაო. ის მოითხოვს კანონპროექტის ხელახლა კომისიისათვის დაბრუნებას გადასაშინჯვათ.

ი. გობეჩია (ს.რ.) სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ სრულიად უსაფუძვლოთ მიგვაჩნია

კამათი იმაზე, სამართლიანია თუ არა უმცირესობათა წარმომადგენლების შემოსვლა ეროვნულ საბჭოში. სახელმწიფოებრივობა მოითხოვს, რომ იმ სუررოგატმა, რომელიც არის შექმნილი, რაც შეიძლება კარგათ გამოხატოს ხალხის ინტერესები, ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ეროვნული საბჭო შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. ჩვენ გვეუბნებიან, რომ რადგანაც საჭირო გამოკვლევები და მასალები არა გვაქვს გადავდოთო, განა გადადებული არ იყო ორი კვირით? რაც ამ ორ კვირაში არ გაკეთდა ნუ თუ ამ ახლო მომავალში მოგვარდება? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. ამიტომ ჩვენი ფრაქცია სავსებით უჭერს მხარს წარმოდგენილ კანონპროექტს.

მომხსენებელმა **შ. მიქელაძემაც** დაარღვია თავის უკანასკნელ სიტყვაში ნაც. დემოკრატების ყველა დებულებები.

საბჭო გადადის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. კამათი საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. საბჭოს დარბაზში ქვორუმი არ აღმოაჩნდა და ამიტომ თავმჯდომარეს ამ კანონ-პროექტისათვის კენჭი არ უყრია. საკითხი საბოლოოდ შემდეგ სხდომაზე გადაწყდება.

აკ. ს -უა

გაზეთი ერთობა, N193, 10 სექტემბერი, 1918

10 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე**

კანონ პროექტი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

მსჯელობა და მუხლობრივი განხილვა ამ კანონ პროექტისა წინა სხდომაზე დამთავრდა, ხოლო რადგანაც სხდომის ბოლოს ქვორუმი არ აღმოჩნდა, კენჭი არ უყრიათ.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა ნაც. დემოკრატების წინადადებას, რომ სომხებს 10 წარმომადგენელის მაგივრად მიცემოდათ 6. საბჭომ ეს წინადადება უარყო.

გ. ქიქოძეს (ნ.დ.) წინადადება შეაქვს, რომ ისრაელებს სულ არ მიეცეს წარმომადგენლობის იუფლება.

წინადადება უარყოფილ იქნა.

ს. კედია. (ნ.დ.) მოითხოვს, რომ არც ებრაელებს მიეცეს წარმომადგენლის გამოგზავნის უფლება, რადგანაც ისინი მიღებულ მეტრზე (20 ათას კაცს) ნაკლები არიან.

საბჭომ ეს წინადადებაც უარყო.

რ. გაბაშვილს შემოაქვს წინადადება, რომ ის სომხები და ოსები, რომელნიც ს. დემოკრატიული სიით არიან გასულნი საბჭოში, ჩარიცხულ იქნან იმ მიღებულ 10 (სომხ) და 2 (ოსებ.) რიცხვში.

მომხსენებლის განმარტების შემდეგ ეს წინადადებაც ხმის დიდი უმეტესობით უარყოფილ იქნა. ამრიგათ საბჭომ მიიღო მთელი კანონპროექტი, რომლის ძალით ეროვნული საბჭო შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა შემდეგი წარმომადგენლობით: სომხ. -10, თათრებს -4, აფხაზებს – 3, რუსებს -2, ქართველ ისრაელებს – 2, ებრაელებს – 1, გერმანელებს -1 და ბერძნებს -1.

ს. კედია. საჭიროა ეხლა ვიქონიოთ მსჯელობა თუ რომელ ენაზე უნდა ილაპარაკონ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, ეს წინასწარ უნდა გადაწყდეს, რადგანაც ამაზეა

დამოკიდებული თუ როგორი წარმომადგენელი გამოგზავნოს ეროვნულ უმცირესობამ საბჭოში.

თავმჯდომარე: ეს საკითხი დღიურ წეს-რიგში არ არის შეტანილი. თუ ნებას მომცემთ შემდეგ სხდომაზე შევიტან დღის წეს რიგში და მაშინ ვიქონიოთ ამაზე მსჯელობა, კედია თანახმაა.

გაზეთი "ერთობა", N195, 12 სექტემბერი, 1918

შემოკლებები:

"ს.ფ."- სოციალისტ-ფედერალისტები,

"ს.დ." – სოციალ-დემოკრატები,

"ნ.დ." – ნაციონალ-დემოკრატები

"ს.რ." – სოციალისტ-რევოლუციონერები

დამფუძნებელი კრების ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში

ცნობა დამფუძნებელ კრების საკანონმდებლო მოქმედების 1919-1920 წლის განმავლობაში.

I.დამფუძნებელი კრების მოქმედება დაწყებული იქნა 1919 წლის მარტის 12, მაშასადამე, ერთი წელიწადი მისი მუშაობისა 1919 წლის მარტის 12-ს შესრულდა.

ამ ხნის განმავლობაში დამფუძნებელი კრების სხდომები შეწყვეტილი იყო საზაფხულო კანიკულებისათვის – 1919 წლის აგვისტოს 3-დან სექტემბრის 19-მდე და საახალწლო-საშობაო დღესასწაულების გამო 1920 წლის იანვრის 1-დან 23-მდე.

ხოლო უკანასკნელი დასვენების დროს გამართული იქნა სასწრაფო-სადღესასწაულო სხდომა იანვრის 14-ს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

II. წლის განმავლობაში დანიშნული იყო სულ 97 სხდომა. ამით შორის მორიგი – 77 და სასწრაფო 20.

III.წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების განსახილველად შემოვიდა სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო აქტი, სულ 415.

ინიციატივის შედეგი განაწილებით:

1. მთავრობისა – 12
2. შინაგან საქმეთა მინისტრისა – 77
3. გარეშე საქმეთა მინისტრისა – 5
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა – 54
5. მიწათმოქმედების მინისტრისა – 33
6. გზათა მინისტრისა – 49
7. იუსტიციის მინისტრისა -19
8. განათლების მინისტრისა – 36

9. შრომის მინისტრისა – 13

10. სამხედრო მინისტრისა -28

11. სახელმწიფო კონტროლისა – 2

სულ მთავრობიდან – 329

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიებისა:

1.პრეზიდიუმისა – 16

2. საკონსტიტუციო კომისიისა – 3

3. იურიდიული კომისიისა – 14

4. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისა – 12

5. სამხედრო კომისიისა – 16

6. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიისა – 7

7. განათლების კომისიისა – 5

8. ხელოვნების კომისიისა – 2

9. სარეგლამენტო კომისიისა – 1

10. საბიბლიოთეკო კომისიისა – 1

11. აგრარული კომისიისა -2

სულ პრეზიდიუმისა და კომისიებისაგან – 79

ფრაქციებისა:

1.სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა – 6

2. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისა – 1

3. ეროვნული ფრაქციისა – 1

სულ ფრაქციებისგან – 08

სულ – 415

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

1. კანონპროექტის სახით იყო – 114

2. დეკრეტის სახით – 280

3. დადგენილების სახით – 11

4. დებულების სახით – 7

5. რატიფიკაციის სახით – 3

სულ – 415

კლასიფიკაციამ ამ საკანონმდებლო აქტებისა – თვისი ხასიათის და შინაარსის მხრივ უნდა იქნეს შედეგი:

N	დარგი	საკანონმდებლო აქტის რიცხვი
1	დამფუძნებელი კრების შინაგანი განწესრიგებისა	3
2	უზენაესი გამგებლობა	4
3	საკონსტიტუციო	10
4	უმაღლესი დაწესებულებათა დაარსებისა	5
5	საერთაშორისო უფლებისა	3
6	საადმინისტრაციო უფლებისა	10
7	სამოქალაქო უფლებისა	12
8	სისხლის სამართლის უფლებისა	7
9	აგრარული ხასიათისა	7
10	საემისიო უფლებისა	5
11	საბიუჯეტო უფლებისა	4

12	სახელმწიფო ფისკალური საკითხისა	31
13	ბიუჯეტის და მისი ნაწილებისა	6
14	სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაციისა და მისი შენახვის ხარჯისა	144
15	სახელმწიფო სამეურნეო და სხვა და სხვა ხარჯისა	56
16	კულტურული საგანმანათლებლო ხარჯისა	22
17	სესხის გაცემისა	12
18	სახელმწიფო დახმარება მკვიდრთათვის	5
19	საპენსიო და სალიკვიდაციო ხასიათისა	4
20	შრომისა და მუშათა საკითხისა	8
21	სათვითმმართველობო	4
22	ვაჭრობა-მრეწველობისა	10
23	სამხედრო საკითხებისა	43
	სულ	415

ეს საკანონმდებლო აქტები წინასწარი განხილვისათვის დამფუძნებელი კრების შემდეგ კომისიებს გადაეცა (ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი რამდენსამე კომისიას გადაეცა განსახილველად. ამის გამო საერთო რიცხვი კომისიებისათვის გადაცემული აქტებისა არ შეესაბამება შემოსულ აქტების საერთო რიცხვს. ამის გარეშე – ამ განყოფილებაში აღნუსხული არ არის ის

აქტები, რომლებიც კომისიების ინიციატივით შემოვიდა და სხვა კომისიას არ გადასცემია წინასწარი გახილვისათვის – გაზეთ „ერთობის“ შენიშვნა):

1. საბიუჯეტო საფინანსო კომისიას – 284
2. იურიდიულ კომისიას – 54
3. გზათა კომისიას – 34
4. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას – 21
5. განათლების კომისიას – 34
6. შრომის კომისიას – 9
7. გარეშე საქმეა კომისიას – 5
8. ჯანმრთელობის კომისიას – 10
9. სამხედრო კომისიას – 26
10. საკონსტიტუციო კომისიას – 4
11. აგრარულ კომისიას – 19
12. ხელოვნების კომისიას – 3

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

1. განხილულია და მიღებული – 278
2. გაუქმებულია ან ერთი მეორეში ჩართული იქმნა – 12
3. უწყებას უკან დაუბრუნდა – 32
4. დარჩა განუხილავი – 92

სულ – 415

კრებაში შეკითხვები შემოტანილი იყო:

1. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან – 1
2. სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციისაგან – 2
3. სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქციისაგან – 3
4. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისაგან – 8

ეროვნული ფრაქციისაგან – 3

სულ -17

კითხვები:

1. სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციისაგან – 1

სულ – 1

შეკითხვებიდან:

1. განხილული იქნა – 13

2. მოიხსნა განხილვისაგან – 2

3. დარჩა განუხილავი – 2

სულ – 17

კითხვები:

1. მოსმენილ იქნა – 1

სულ – 1

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიების სხდომების რიცხვი:

1. პრეზიდიუმს სხდომა ჰქონდა – 171 (მათ შორის ფრაქციების წარმომადგენლობით 11 – გაზეთ „ერთობის" შენიშვნა)

2. საბიუჯეტო საფინანსო კომისიას – 74

3. საკონსტიტუციო კომისიას – 48

4. იურიდიულ კომისიას – 54

5. განათლების კომისიას – 67

6. შრომის კომისიას – 20

7. აგრარულ კომისიას – 38

8. გარეშე საქმეთა კომისიას – 30

9. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას – 44

10. ჯანმრთელობის კომისიას -9

11. სამხედრო კომისიას – 49

12. გზათა კომისიას – 47

13. ხელოვნების კომისიას – 47

14. საბიბლიოთეკო კომისიას – 24

15. სარეგლამენტო კომისიას – 7
16. სამეურნეო-საგამგეო კომისიას – 18
17. სარედაქციო კომისიას – 93
18. სამანდატო კომისიას – 3
19. საპროპაგანდო კომისიას – 5

დამფუძნებელი კრება შედგება ექვსი ფრაქციისაგან:

1.სოციალ-დემოკრატიულისა.
2. სოციალ-ფედერალისტთა.
3. სოციალისტ-რევოლუციონერთა.
4. ეროვნულ-დემოკრატიულისა.
5. ეროვნულისა (ნაციონალისტურისა)
6. დაშნაკცუთიუნისაგან.

გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 მარტი, N63

რა სახელი უნდა დაერქვას საქართველოს პარლამენტს? - დებატები ეროვნულ საბჭოში

1918 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიას სასწრაფოდ მოუხდა მუშაობის დაწყება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებაზე, რომ ეროვნულ საბჭოს სახელწოდება შეეცვალოს და ეწოდოს "საქართველოს პარლამენტი". კომისიამ პ.საყვარელიძეს დაავალა შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება და მომდევნო სხდომისათვის წარმოდგენა (სცსსა, ფ.1836, აღწ.1, საქ.201, ფურც.78).

საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 18 სექტემბრის სხდომა ამ საკითხის განხილვასაც მიეძღვნა. პ. საყვარელიძემ სასტიკად გაილაშქრა ეროვნული საბჭოსათვის საქართველოს პარლამენტის სახელის დარქმევის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ "საბჭოს სახელწოდების პარლამენტად შეცვლა შეუძლებელია, რადგანაც პარლამენტი საზოგადო სახელწოდებაა საკანონმდებლო დაწესებულებათა, წინააღმდეგ ამისა, ყოველს სახელმწიფოში პარლამენტს საკუთარი ისტორიულად შემუშავებული სახელი აქვს. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისევ ქართულ სახელწოდებებში რომელიმე. ასეთია სახელწოდებანი: კრება, საკრებულო, დარბაზი, საბჭო და სხვა" (სცსსა, ფ.1836, აღწ.1, საქ.201, ფურც.79).

პ. საყვარელიძეს უმჯობესად მიაჩნდა დარბაზის ნაცვლად დარჩენილიყო ისევ საბჭო "ეროვნულის შეცვლით". მისი აზრით, შეიძლება ეწოდებინათ აგრეთვე "წარმომადგენელთა პალატა", "წარმომადგენელთა საბჭო". რ. არსენიძის აზრით, ეროვნული საბჭოსათვის უნდა ეწოდებინათ "ხალხის წარმომადგენელთა დარბაზი", კ. მაყაშვილის აზრით - "რჩეულთა დარბაზი". საბოლოოდ, კომისია შეჩერდა სახელწოდებაზე - "წარმომადგენელთა დარბაზი", მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მაინც შემდეგი სხდომისთვის გადადეს.

საკონსტიტუციო კომისიის 21 სექტემბრის სხდომაზე საკითხის განხილვა გაგრძელდა - მიიღეს ჯერ "სახელმწიფო დარბაზი", ბოლოს არჩევანი შეაჩერეს სახელწოდებაზე "რესპუბლიკის დარბაზი". სწორედ ეს სახელწოდება წარუდგინეს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს. მომხსენებლად გამოყვეს პ. საყვარელიძე (სცსსა, ფ.1836, აღწ.1, საქ.201, ფურც.81) თუმცა, საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრება არ გაიზიარეს და საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე ხმის უმრავლესობით გადაწყდა ამ დაწესებულებისათვის ეწოდებინათ "საქართველოს პარლამენტი".

საქართველოს ეროვნული საბჭო

4 ღვინობისთვის სხდომა

თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე**

წარსულ სხდომაზედ მიღებულ კანონ-პროექტთა სარედაქციო კითხვის შემდეგ, ეროვნული საბჭო გადადის საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტის განხილვაზედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შესახებ. კომისიის მხრით მომხსენებელია პავლე საყვარელიძე (ალიონელი).

პავ. საყვარელიძის სიტყვა

საკონსტიტუციო კომისიის წინადადება

საკონსტიტუციო კომისია წინადადებით შემოდის ეროვნულ საბჭოში, რათა შეცვლილ იქმნეს ჩვენი პარლამენტის სახელი. ამ საკითხს, მართალია დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც საჭიროა მისი ყურადღებით განხილვა.

„რესპუბლიკის დარბაზი“ თუ „საქართველოს პარლამენტი“?

საკონსტიტუციო კომისიაში იყო მრავალი წინადადება, სხვათა შორის სოც.-დემ. ფრაქციამ შემოიტანა წინადადება, რომ ეროვნულ საბჭოსთვის სახელად პარლამენტი დაგვერქმია. საკონსტიტუციო კომისიამ უარჰყო ეს წინადადება და ერთხმად შეჩერდა „რესპუბლიკის დარბაზზე“.

მთელს დედამიწის ზურგზედ, სადაც კი დემოკრატიული წყობილება და პარლამენტარიზმია დამყარებული, პარლამენტი ჰქვია ყველგან საკანონმდებლო დაწესებულებათ და ჩვენის მხრით პარლამენტის დარქმევა ნიშნავდა არაფრის დარქმევას.

მთელს დედამიწის ზურგზედ ვერ ნახავთ პარლამენტს, რომელსაც თავისი საკუთარი სახელი არ ერქვას. მაგალითად გერმანეთის პარლამენტს ჰქვია რეიხსტაგი, საფრანგეთის chambre de deputaits, ავსტრიისას რიხსტრატი და სხვა. მაგალითად, შვეიცარიაში ორივე საკანონმდებლო ორგანო რომ შეაერთოთ, გამოვა პარლამენტი. ასეა ყველგან და საქართველო რად უნდა იყოს გამოყოფილი და დაერქვას ის, რაც არსად არ ჰქვია.

არ შეიძლება ძველი სახელის დატოვება, რადგან ჩვენი საბჭო აღარ არის მარტო ქართული, არამედ აქ არის წარმომადგენლობა სხვა ერთა და მის სახელწოდებაშიც ეროვნული ელემენტი უნდა მოხსნილ იქმნას.

კომისიამ ერთხმად დარბაზი მოიწონა. აღსანიშნავია აგრეთ-ვე, რომ ზოგიერთი ფრაქციები ამ სახელის წინააღმდეგია, მაგრამ კომისიაში ყველა ფრაქციათა წარმომადგენელთა მიერ იგი ერთხმად იყო მიღებული.

დარბაზი – პალატა – საბჭო

ზოგიერთნი იცავენ „საქართველოს პალატას“ და არიან მომ-ხრენი „რესპუბლიკის საბჭოს“-იც. მე როგორც კომისიის წარმო-მადგენელი ვიცავ დარბაზს.

არის სამი წინადადება, რომელიც სხვებზედ უფრო მისაღებია:

დარბაზი, პალატა, საბჭო.

დარბაზი იგივე პალატაა:

დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს პალატაც იგივე მცნებას შეიცავს.

საბჭო, ბატონებო, დღეს აურაცხელ დაწესებულებათ ქვია: მუშათა საბჭო, სასურსათო საბჭო, ქალაქის საბჭო და სხვა. შემცდარი არ ვიქნებით, რომ ვსთქვათ, დღეს საღამოს ქალაქში 10 საბჭოს კრება მაინც შესდგება. პარლამენტის სახელი კი უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა სხვა დაწესებულებათა სახელს ფარავდეს.

დარბაზი, ჩვენი ისტორიკოსების და მცოდნე პირთა ცოდნით ძველი სახელია და ამ მცნებას გამოხატავდა ძველად. ამ სახელში არის სახელმწიფოებრიობის მცნება. ამასთან იგი განსხვავებულია სხვა პარლამენტის სახელებისაგან და შნოიანიც არის.

ნოე ჟორდანია და პარლამენტარიზმი

შეიძლება, ბატონებო, მომავალში ჩვენ პარლამენტარიზმი უარვყოთ. შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტმა ნოე ჟორდანიამ ამას წინეთ სახალხო სახლში წაიკითხა საქართველოს სახელმწიფოს შესახებ და სთქვა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს პარლამენტარიზმი არ ეგუებაო. შეიძლება მომავალში ეს ასე იყოს, მაგრამ მარტო სახელით არ შეიძლება დამტკიცება ამ პარლამენტარიზმის.

„დარბაზი“ უცხო სიტყვაა?

„დარბაზის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ეს სიტყვა უცხოაო, მაგრამ განა პარლამენტი ქართულია?

ეს სიტყვა მართალია სპარსეთიდან არის შემოსული, მაგრამ სავსებით გადმოქართულებულია ისე, როგორც მრავალი სხვა სიტყვა ქართულ ლექსიკონში შემოსული.

ზოგიერთი ამბობს, როგორ შეიძლება დარბაზი დავარქვათ, როდესაც ეს სახელი ოთახს ნიშნავს.

საფრანგეთის პარლამენტს ჰქვია chambre des deputaite და სიტყვა chambre ნიშნავს სწორედ ოთახს და ეს სახელი პარლამენტს სრულებით არ ეუცხოვება.

„დარბაზს“ მონარქიზმის სუნი უდის.

სოციალ-ფედერალისტებისაგან გავიგეთ, რომ დარბაზს თურმე მონარქიზმის სუნი უდის; და ეს სუნი იქიდან წარმომდგარა, რომ ძველად დარბაზი მეფეების დროს ყოფილა. საქმე ის კი არ არის, რა დროს ყოფილა ეს სახელი, საქმე იმაშია, ეხლა არა უდგათ ესეთი სული ამ დაწესებულებას, თორემ ძველი დროის ამბავს მნიშვნელობა არ აქვს.

პირიქით, არიან ისეთი საკითხები, როგორიც აი ეს საკითხია, სადაც ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„დარბაზი" პოპულიალური არ არის.

„პარლამენტის" მომხრენი ამბობენ, რომ დარბაზი ხალხში პოპულიალური არ არის. ბატონებო! „პარლამენტი" პოპულიალურია ხალხში? ჩვენში ყველამ იცის თუ რას ნიშნავს სიტყვა „დარბაზი" და რა მნიშვნელობა ექნება მას, როგორც საკანონმდებლო დაწესებულებას, ჩვენ ავუხსნით.

ინტერნაციონალური სახელი.

პარლამენტის მომხრენი ამბობენ აგრეთვე, რომ სახელი უსათუოთ ინტერნაციონალური უნდა იყოსო.

ჩვენ ინტერნაციონალიზმი სხვანაირად გვესმის!

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ჩვენი ეროვნული განსხვავებაც უნდა გვქონდეს.

რაც გინდათ დაარქვით, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთ.

როგორც კომისიის წევრი, მე ვიცავ დარბაზს, მაგრამ როგორც საბჭოს წევრი, ვამბობ, რომ დაარქვით, რაც გსურდეთ: საბჭო, პალატა, ან სხვა რაიმე, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთ. ამის დარქმევას სრულებით რომ არაფერი დაარქვათ, ისა სჯობია (ტაში მარჯვნივ და ცენტრში „ალიონელთა" სკამებზე).

სოც.-დ. ალ. ლომთათიძის სიტყვა

მე მეგონა, რომ ეს საკითხი დიდ კამათს აქ არ გამოიწვევდა, მაგრამ მომხსენებლის შემდეგ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა: რაც

მეტი ამტკიცა ბ-ნმა პავლე საყვარელიძემ „დარბაზის“ უპირატესობა, მით უფრო დაამტკიცა, რომ ეს სახელი ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს არ შეეფერება.

სანამლეოს დავდებ, თუ ასში ორმა კაცმა იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ჩვენ უნდა დავდგეთ პრაქტიკულ ნიადაგზედ და ის სახელწოდება უნდა მივითოთ, რომელიც ხალხისთვის გასაგები იქნება.

დარბაზი დიდი თავლაა, სადაც ცხენები აბია

ბ-ნმა მომხსენებელმა ბრძანა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს, რომელსაც პარლამენტისთვის თავისი ეროვნული სახელი არ დაერქვასო – მე მგონია ეს მოსაზრება სრულებით მხედველობაში მისაღები არ არის.

პარლამენტი ესმის ჩვენ ხალხს, ხოლო დარბაზი კი ყველამ იცის, რომ არის დიდი თავლა, სადაც ცხენები აბია (ხანგრძლივი სიცილი, თითქმის ყველა სკამზებზედ გარდა ზოგიერთ ს.-დემოკრატებისა) დეე ნუ გაიგებს ამას ისე, თითქოს თავლა იყოს, დეე ოთახად გაიგოს და მერე რა მიზანს მიაღწევთ? **პარლამენტის დარქმევა პარლამენტარიზმის განმტკიცება იქნება.** პარლამენტის დარქმევა – პარლამენტარიზმის ჩანერგვა იქნება ხალხის გულში და ეს მოსაზრება კიდევაც მოგახსენეთ კომისიაში, როდესაც სოც.-დემ. ფრაქციის წინადადება შემოვიდა. ჩვენ ამ წყობილების დამყარებისათვის დიდი ბრძოლა დაგვჭირდა და ის ღრმად უნდა აღიბეჭდოს ხალხის გულში.

„საქართველოს პარლამენტი“ მხოლოდ ერთი იქნება ქვეყანაზედ

„დარბაზის“ სახელმწიფოებრიობის მცნება გამოიხატება იმაში, რომ მეფობის დროის ნაშთია და განა ეს არის უპირატესობა? „საქართველოს პარლამენტი“, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არცერთი ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებას არ ერქმევა და ამით

მივაღწევთ სახელის განსხვავებასაც, რომელიც ბ-ნ საყვარელიძეს ასე აწუხებს.

წინადადება

ლაპარაკი ამის შესახებ ზედმეტია. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით შემომაქვს წინადადება, რომ საკონსტიტუციო პროექტი უარყოფილ იქმნას და ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას სახელათ დაერქვას „საქართველოს პარლამენტი“.

ი. ჩერქეზიშვილი (ს.რ.)

იმერული ჩვეულება

სიტყვა პარლამენტი ზოგადი ხასიათისაა და ამ საკითხში ჩვენ ვეთანხმებით მომხსენებელს, რომ მას საკუთარი სახელი უნდა ერქვას. იმერეთში გამიგონია, რომ ბავშვს ლამაზი სახელის დარქმევით „პაროვოზ“-ს, ან სხვა რაიმე ასეთს არქმევდნენ და ესეთი რამე, რასაკვირველია, ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს არ შეეფერება.

პარლამენტის სახელწოდების საკითხი დამფუძნებელი კრების საქმეა

ჩვენ სხვა წინადადება გვსურს შემოვიტანოთ: პარლამენტისთვის სახელის დარქმევა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების საქმეა და მის მოწვევამდე დავტოვოთ ძველი სახელი. ამ ცოტა ხანში იმდენი ცვლილებანი მოხდა ჩვენს უმაღლეს ორგანოებში, რომ ხალხს აერევა ყველაფერი. დავტოვოთ ძველი სახელი, ხოლო ამოვიღოთ სიტყვა ეროვნული, რომელიც მას შემდეგ, რაც აქ სხვა ერთა წარმომადგენელნი შემოვიდნენ მას აღარ შეეფერება და მის მაგივრად შევიტანოთ სიტყვა სახალხო. ამრიგათ გამოვა „საქართველოს სახალხო საბჭო“.

შალვა მიქელაძე (ს.-ფ)

ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა ორივე წინადადების წინააღმდეგია, როგორც „დარბაზის“, ისე „პარლამენტის“! ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სიტყვას „საბჭოს“ იმდენათ აქვს მოპოვებული უფლება

რომ იგი უსათუოდ უნდა დარჩეს და ამის და მიხედვით შემოგვაქვს წინადადება ეროვნულ საბჭოს სახელი „რესპუბლიკის საბჭოთი" შეიცვალოს. ამ საკითხში ფრაქციის წევრთ სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული.

რევაზ გაბაშვილის სიტყვა

ცხენებს დარბაზში არავინ არ აბამს

მე არ გამოვდივარ ფრაქციის სახელით. პავლე საყვარელიძემ სავსებით „დაასაბუთა" დარბაზის უპირატესობა და სრულიად გაუგებარია რატომ სურს სოც.-დემ. ფრაქციას თავზედ მოგვახვიოს თავისი აზრი.

საქართველოში 100-ში ორ კაცს ვერ ნახავთ ისეთს, რომელმაც არამც თუ იცოდეს, არამედ არ იცოდეს, თუ რას ნიშნავს სიტყვა დარბაზი.

ალ. ლომთათიძე (ადგილიდან) ქართლში არ ამბობენ?

რ. გაბაშვილი: ქართლის ამბავი მე თქვენზედ უკეთ ვიცი და არასდროს არავის უფიქრია, რომ იქ ცხენების დაბმა შეიძლებოდეს. პირიქით, ყველას აქვს წარმოდგენილი, როგორც წარჩინებული ბინა.

სოციალ-დემოკრატები არ იცნობენ ხალხს.

ბ-ნი ლომთათიძე ბრძანებს, რომ პარლამენტი პოპულიარულია ხალხშიო. ბ-ნო ალექსანდრე! პოპულარული ის კი არ არის რასაც მე და თქვენ გავიგებთ, არამედ ის, რასაც სწორეთ popue-ი გაიგებს და იმას კი ეგ თქვენი პარლამენტი არ ესმის.

მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენი სოც.-დემოკრატიის ლიდერები ასე კარგათ იცნობენ ხალხს (სიცილი მარცხნით და ცენტრში).

დარბაზი მეფეებისაგან არის შემოღებულიო.

დარბაზი მეფეებისგან არის შემოღებულიო – თქვენ რასაკვირველია ასე აუხსნით ამ ხალხს და მისთვის პოპულარული

აღარ იქნება. მაგრამ ისიც აუხსენით, რომ პარლამენტიც მეფის დროს არის შემოღებული.

„საბჭო“

ესერები და ფედერალისტები საბჭოს უპირატესობას სცნობენ. აქ ჩამოთვალეს მრავალი საბჭოები: მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა – ეს სახელები ჩვენთვის, რასაკვირველია ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ გაიხსენეთ ისიც, რომ არსებობს საკათალიკოსო საბჭოც, სამიტრო-პოლიტო საბჭო და ამასთან დაკავშირებულია მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების სახელებიც და შეიძლება ამის გახსენებამ ცოტა გული იქით მიგიბრუნოთ (საერთო სიცილი).

დარბაისელნი

„დარბაზს“ აქვს ერთი საყურადღებო მხარე, რომელიც მეც მაფიქრებს: დარბაზის წევრებს სახელად დარბაისელნი ერქვათ და ესევე იქნება ალბათ ჩვენშიც და რამდენათ შეეფერება ეს ზოგი-ერთი ჩვენი პარლამენტის წევრებს, თქვენ თითონ განსაჯეთ. (სიცილი, ტაში).

თავმჯდომარის შენიშვნა

თავმჯდომარე: საბჭოს წევრო გაბაშვილო! როდესაც ეროვ-ნულ საბჭოს წევრთა შესახებ ლაპარაკობთ, გთხოვთ შეუფერებლად არ მოიხსენიოთ ისინი.

ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვა:

ტრიბუნაზედ ადის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხა-ნაგი ექვთიმე თაყაიშვილი (ნ.დ);

მნელათ თუ ვისმეს უყვარს უცხო სიტყვების ხმარება ისე, როგორც ქართველებს

მნელათ თუ მოიპოვება ერი, რომელსაც ისე უყვარდეს უცხო ენა, როგორც ეს ჩვენ გვიყვარს.

ეს სენი ისტორიულია, მაგრამ ეხლა იგი უფრო გვემჩნევა. ამ ერთს საუკუნეში ქართული ლექსიკონი ძალზედ შეიცვალა, ისტო-

რიკოსი უწინაც აღნიშნავდა, რომ ქართული ენა უცხოთ მორთული" არისო. ესე იგი უცხო სიტყვებით შერთული, მაგრამ დღევანდელ ისტორიკოსს ამის თქმა მეტის უფლებით შეუძლია.

მას შემდეგ რაც ქართველი მეფეები სპარსეთში აღიზარდნენ, განსაკუთრებით როსტომ მეფე, მრავალი სახელები სპარსულით შესცვალეს. რომ არ შერჩენოდა „კარის გარიგება", მრავალი სახელი ჩვენთვის სრულებით დაკარგული იქნებოდა.

ეხლა როდესაც საქართველოში ევროპის კულტურა შემოვიდა, ჩვენი ლექსიკონის არევას, რასაკვირველია, უფრო აქვს ადგილი. თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ თავი უნდა დაანებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს.

დარბაზის მნიშვნელობა

მომხსენებელმა მართალი მოგახსენათ, რომ სიტყვა დარბაზი სპარსულიდან არის გადმოქართულებული, მაგრამ იგი სავსებით არის შესული ქართულ ხმარებაში. დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს. არის აგრეთვე გლეხთა დარბაზი ე.ი. ყველაზედ დიდი ოთახი გლეხის ოჯახში, სადაც იგი იღებს სტუმრებს, თითონ და მისი ოჯახი იმყოფება, მაგრამ ეს გლეხთა დარბაზი უკვე გამოდის ხმარებიდან.

დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს, მაგრამ თუ ამ სახელს მიიღებთ, მაშინ უნდა მიიღოთ სიტყვა სეფე-დარბაზი ესე იგი სასახლის დარბაზი.

რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სეფესა შენსა დარბაზსა", სიტყვა სეფეც გამოქართულებულია, მაგრამ სავსებით შესულია ხმარებაში და თუ მიიღებთ იცოდეთ, რომ ეს ნამდვილი ქართული სახელი იქნება.

ეს, რასაკვირველია, არც ცხენის სადგომია და ამ რიგად მას არც დასავლეთსა და არც აღმოსავლეთ საქართველოში არავინ არ იცნობს.

სიტყვა პალატა იგივე ბუნებაა – დიდი ოთახი, ეს სიტყვაა დასავლეთის და დარბაზი აღმოსავლეთის.

საბჭო

ყველაზედ უკეთესი და შესაფერი, ჩემის აზრით იქნება საბჭო. ეს ნამდვილად ქართული სიტყვაა. ნათქვამია: „დავსხდეთ და მოვიხმოთ ბჭენიო". ბჭენი ნიშნავენ მსაჯულებს, რომელთაც განსაკუთრებულ იხმობდნენ – სამართლის აღსასრულებლად საბჭოს წინ უნდა დაერთვას არა ნაციონალური, არამედ რესპუბლიკის საბჭო და მემგონია, რომ უკეთეს სიტყვას ნამდვილ ქართულს ვერავინ მოიგონებს.

წინადადება კამათის შესახებ

შემოდის წინადადება, რომ კამათი შეწყვეტილ იქმნეს. თავმჯდომარე კენჭს უყრის ამ წინადადებას, რაიც ერთხმად იქნა მიღებული. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

პავლე საყვარელიძე

მე მაკვირვებს ალ. ლომთათიძე. აქ სრულებით საჭირო არ არის დემაგოგიურ ნიადაგზედ კამათიო.

ალ. ლომთათიძე (ადგილიდან): სად არის დემაგოგია?

პავლე საყვარელიძე: ძნელია დამტკიცება იმისა, თუ რომელი სახელი უფრო პოპულიარული არის ხალხში: დარბაზი თუ პარლამენტი.

რაზედ მაწერთ იმას რაც მე არ მითქვამს; პარლამენტს მე როგორ ვებრძვი. ჩვენი საბჭოს თავმჯდომარეს უმახვილია: პარლამენტს დავარქვათ პარლამენტიო; მაგალითად იმერეთში კაცს უძახიან კაციას, ან ბიჭიასო.

მაგრამ ბატონებო კაცია, ან ბიჭის კარგი სახელებია?

დარბაზი გამოხატულებაა თაღის, წარმოსადგენის და მასიან არის ყველა ქვეყნების საკანონმდებლო დაწესებულებებთან განსხვავებული.

მართალია ეს საკითხი ძალიან ცუდი ბედის მარგუნებელია, რაიც დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელი მხარს უჭერს ამ წინადადებას, მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ერთი ფრაქცია ძალას არ დაატანს საბჭოს უსათუოდ მისი წინადადება მიიღოს.

კენჭის ყრა

თავმჯდომარე კენჭის საყრელად სვამს ოთხ წინადადებას.

საკონსტიტუციო კომისიისას, რომ პარლამენტს დაერქვას „რესპუბლიკის დარბაზი".

სოც.-დემოკრატიულ ფრაქციისას: „საქართველოს პარლამენტი".

სოც.-რევოლუციონერთა, „საქართველოს სახალხო საბჭო".

სოც.-ფედერალისტთა: „რესპუბლიკის საბჭო".

პირველმა წინადადებამ საკონსტიტუციო კომისიისა ხმა მისცეს 29 მომხრემ და 39 წინააღმდეგ. წინადადებას მიემხრნენ: ეროვნულ-დემოკრატები, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები, სოც.-ფედ., უპარტიონი, რად. დემ. და „ალიონი". წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც.-დემ. ერთხმად და სომხებმა ერთხმად. ესერება თავი შეიკავეს.

მეორე წინადადებამ სოც.-დემ. მიიღო 40 მომხრე და 30 წინააღმდეგ. ამ წინადადებას მიემხრნენ მხოლოდ სოც.-დემოკრატები სომხებთან ერთად.

სოც.-ფედერალისტთა წინადადებამ მხოლოდ 5 ესერის ხმა. ამ რიგად გავიდა სოც.-დემ. წინადადება და საქართველოს პარლამენტს სახელად „საქართველოს პარლამენტი დაერქვა".

ამის შემდეგ ი. ბარათაშვილის მოხსენებით, უკამათოთ იქმნა მიღებული კანონპროექტი 1909წ. 18-ს კანონით დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ.

გაზეთი „საქართველო“, 6 ოქტომბერი, 1918, N187